ნინო ბიგვავა*

აფხაზეთის კონფლიქტის მეხსიერება: წარსული და თანამედროვეობა

აბსტრაქტი

დღეისათვის საქართველოში არსებულ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას თან ახლდა რუსული ძალების მიერ სეპარატიზმის გაღვივება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ამან განაპირობა შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც გადაიზარდა გაყინულ კონფლიქტში. 30 წლის შემდეგ საკმაოდ რთული ხდება აქამდე არსებული ერთიანი გადაკვეთის წერტილების პოვნა, ვინაიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყალიბდება განსხვავებული ცნობიერება და აღქმა წარსული და აწმყო მოვლენებისა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალგაზრდა თაობაში ჩამოყალიბებულია საქართველოსა და ქართველების შესახებ მტრის ხატი და მტრული დამოკიდებულება. ამ ფაქტორის გათვალისწინებით კულტურული და ისტორიული მეხსიერების კვლევა აფხაზეთის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, კონფლიქტი აფხაზეთში, კულტურული და ისტორიული მეხსიერება, სეპარატიზმი.

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრანტი

შესავალი

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოების სუვერენულობასა და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს ტერიტორიული მთლიანობა და კონსტიტუციური წესრიგის გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოში 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, ახალ პოლიტიკურ წყობილებაზე გადასვლის კვალდაკვალ რთული აღმოჩნდა ყველა ამ ზემოთხსენებული ფაქტორის შენარჩუნება, ვინაიდან გამწვავდა სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრად გააქტიურების ფონზე, კრემლმა მოახდინა აფხაზეთში არსებული სეპრატისტული, ანტიქართული და ნაციონალისტური ძალების მობილიზება და მანიპულირება, რათა შეენარჩუნებინა ზეგავლენა საქართველოზე. ამ პერიოდში აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმი ჩამოყალიბდა. ამგვარ ფაქტებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი - 1988 წლის ნოემბერი, როდესაც შეიქმნა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“, რომელიც მკვეთრად ანტიქართულ განწყობებს ატარებდა; 1989 წლის 18 მარტის ე. წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელიც „აიდგილარას“ ინიციატივით დაიწერა და მოითხოვდა აფხაზეთის გამოყოფას საქართველოს შემადგენლობიდან; 1989 წლის ივლისიდან მოყოლებული სახელმწიფო უნივერსიტეტის დონეზე არსებული ურთიერთდაპირისპირება სამეცნიერო პერსონალს შორის, რომელიც მოითხოვდა აფხაზური ფილიალის გამოყოფას ქართულისგან; 1989 წლიდან დაიწყო ასევე ქართველების ეთნიკური წმენდისათვის მოსამზადებელი პერიოდი, მაშინ როდესაც ჩამოყლიბდა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“ აფხაზეთი მის ნაწილად დასახელდა, ხოლო ქ. სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად. 1980-იანი წლების შემდგომ გამწვავდა ვითარება ამჟამად ოკუპირებულ აფხაზეთში და შესაბამისად მივიღეთ 1992-1993 წლის მოვლენები,

რაც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. საბოლოოდ, მივიღეთ კონფლიქტის შედეგად 250 ათასი იძულებით გადაადგილებული ადამიანი, რომელმაც დაკარგა საკუთარი საცხოვრებელი და ვითარება გაყინულ კონფლიქტში გადაიზარდა.

უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში ატარებს საკმაოდ დიდ ღირებულებით ხასიათს. რუსეთის მხრიდან განხორციელებული თითოეული ღონისძიება გეოპოლიტიკურ ელფერსაც ატარებდა. მათ მიერ ამ რეგიონის ოკუპაციამ მოგვიტანა ის, რომ საქართველო გარკვეული პერიოდით ჩამოშორდა ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და ამით საქართველოში დემოკრატიზაციის საფუძვლების შერყევაც მოხდა. თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველომ პოსტ-ტოტალიტარული ტრანსფორმაციის მძიმე და დანაკარგიანი ეტაპის განვლის შემდეგ შეძლო განესაზღვრა თავისი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში: გამოკვეთა განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და შევიდა მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის ფაზაში. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციაშიც მკაფიოდ იქნა განსაზღვრული ის, რომ საქართველოს აღებული აქვს ევროპული და ევროატლანტიკური საგარეო გეზი, რაც ქართველი ხალხის ურყევი ნების გამოხატულებას წარმოაგენს. მეორეს მხრივ კი აფხაზეთში მკვეთრად განსხვავებული პოზიციებია და სწორედ ეს განსხვავებულობა წარმოადგენს კულტურული მეხსიერების კვლევის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს.

აღნიშნული საკითხი ძირითადად მოიცავს აზრობრივი კვლევის სპეციფიკას და თავისებურებებს აფხაზურ და ქართულ მოსახლეობაში. იმისათვის, რათა უშუალოდ მოხდეს ამ განმასხვავებელი ნიშანთვისებების გარკვევა, აუცილებლად გასათვალისწინებელია კულტურული მეხსიერების კვლევის საკითხი, მისი დამახასიათებელი ნიშნები და ა. შ. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომი მოიცავს სწორედ კონფლიქტის მიმართულებით აფხაზურ

და ქართული საზოგადოებების მეხსიერების კვლევის სპეციფიკის მიმოხილვას.

კულტურული მეხსიერების არსი და მნიშვნელობა

კულტურული მეხსიერების მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ძირითადი მდგენელები. შესაბამისად, მისი არსიც და ელემენტებიც შედეგნაირად შეიძლება დავაკვალიფიციროთ - კულტურული მეხსიერება გარკვეული დროის მონაკვეთში ცნობიერების ფორმირებისა და აზროვნების შედეგად მიღებული პროდუქტია. ამ შემთხვევაში ცნობიერება წარმოადგენს ადამიანის ნეირომენტალურ სისტემაში რეალობის ასახვის პროცესს, ხოლო აზროვნება კი სწორედ ამ რეალობის იმგვარი აღქმაა, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული ცნებების შექმნა, გადაფასება და დასკვნების გამოტანა.

მეცნიერები ხშირად განიხილავენ მეხსიერების უმაღლეს ფორმად უშუალოდ კულტურულ მეხსიერებას. ამ შემთხვევაში დროის კონკრეტულ განსაზღვრულ მონაკვეთში, კონტინიუმში დაგროვებული ცოდნა და გამოცდილება თაობიდან თაობაზე გადადის. კულტურული მეხსიერების ფორმირება დღეისათვის საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან მისი შემნახველი და მატარებელი ამჟამად არის არქივი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა მონაცემთა ბაზა (მაგ., ვებ-გვერდები, ელექტრონული ბიბლიოთეკები, ენციკლოდიები და ა.შ.). ამიტომაც კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ იმ დროს, როდესაც სოციუმი სრულად ახორციელებს იმ ინფორმაციის მიღებას, რასაც უშუალოდ ამ მეხსიერების ფორმა და შინაარსი გააჩნია.

მეხსიერების ფორმირება, მისი შენახვა და ფუნქციონირება წარმოადგენს პასიური და აქტიური პროცესების სინთეზს. მეხსიერების შენახვისას ხდება უშუალოდ ზემოთხსენებულ მეხსიერების ბაზებში - არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სხვ. კონკრეტული მონაცე-

მების შენახვა, რაც გარკვეული შინაარსის მეხსიერებაში პასიურ ჩამოყალიბებას გულისხმობს. აქტიური, უფრო მეტად ფუნქციონალური მეხსიერების დროს კი ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამუშავება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სახე-ხატები მკაფიოდ ილექება და ინახება ადამიანის გონებაში, რაც ხშირად კოლექტიური ცნობიერების ნაწილადაც იქცევა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, თუ როგორ ხდება კოლექტიური აზროვნების ფორმირება.

მეხსიერების საკითხების გამორჩეული მკვლევარი იან ასმანი აღნიშნავს, რომ „მეხსიერება ადამიანს უყალიბდება, მისი სოციალიზაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ცალკეული პიროვნება „ფლობს“მეხსიერებას, ის მაინც ჩამოყალიბებულია კოლექტივის მიერ. ამიტომაც „კოლექტიური მეხსიერების“ ცნება არ წარმოადგენს მეტაფორების ნაწილს. კოლექტივები არ ფლობენ ერთიან მეხსიერებას, თუმცა სოციუმი ნამდვილად უყალიბებს მას თავის წევრებს“ (Ассман Ян, 1992, გვ.32), ასმანი ასევე ხაზს უსვამს, რომ კოლექტიური მეხსიერება ხშირად არ ასახავს ობიექტურ რეალობას. ამ შემთხვევაში არ ხდება იდენტურად ისტორიული ფაქტების გამეორება, ვინაიდან ისტორია სოციუმის მეხსიერებაში ხშირად არ ილექება.

მორის ჰალბვაქსი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ მეხსიერება და ისტორია ერთმანეთისაგან დაშორებულია, ვინაიდან საზოგადოება საკუთარ წარსულს იმახსოვრებს ისეთი ფორმით, როგორსაც მას აწვდიან, ეს კი გამუდმებით განიცდის ცვლილებებს. ამიტომაც ჰალბვაქსი საუბრობს „კოლექტიური მეხსიერებისა“ და „ისტორიის“ სრულიად საპირისპირო ცნებებად არსებობის შესახებ (Ассман Ян, 1992, გვ.33-34).

ისტორია თავის თავში წარმოადგენს კონკრეტული ფაქტებისა თუ მოვლენების განსაზღვრულ თანმიმდევრულობას, თავის მხრივ კი კოლექტიური მეხსიერება უფრო მეტად სუბიექტურია, ვინაიდან

ამ ობიექტური მოვლენების აღქმა ხდება სუბიექტურად. კოლექტიური მეხსიერების ფარგლებში, როგორც ასმანი და ჰალბვაქსი აღნიშნავენ, ყურადღება მახვილდება იმ ფაქტებზე, რომელთა საშუალებითაც სოციუმის განსაკუთრებულობასა და მნიშვნელობაზე ხდება აპელირება. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი მაქს შელერიც ხალხს განიხილავდა, როგორც „სუბსტანციურ პიროვნებას“, მისი აზრით ხალხი „ერთიანი, კოლექტიური პიროვნებაა“. ამიტომაც მისი აზრის ხალხის ისტორიული ზრდა შესაძლებელია მხოლოდ წარსულთან კავშირის შენარჩუნებით (Scheler, 1924). ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული კონკრეტული ფაქტების გამოყოფა მეხსიერებაში ეხმარება საზოგადოებას თვითინდენტიფიცირებაში.

აქვე მნიშვნელოვანია მეხსირებისა და ტრადიციის ურთიერთმიმართების დანახვაც. ტრადიცია, მორის ჰალბვაქსის აზრით, წარმოადგენს მეხსიერების კონკრეტულ ფორმას, ამის საპირისპიროდ კი ანა ასმანი მეხსიერებას ყველაფერზე ზემდგომად მიიჩნევს და ამიტომ გამოყოფს კომუნიკაციურ და კოლექტიურ მეხსიერებას. მისი აზრით, სწორედ, კომუნიკაციური მეხსირება მიიჩნევა ტრადიციებად და მასში გაერთიანებულია მოგონებები, რომლებიც ცოცხალი წარსულის ფარგლებში ჩამოყალიბდა და თაობიდან თაობას გადაეცემა.

აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ კულტურული მეხსიერების ნაწილს წარმოადგენს ცნობიერება და აზროვნება, რომლებიც ფორმირდება კონკრეტული მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების შეკრებითა და მათზე ყურადღების გამახვილებით. კოლექტიური მეხსიერება და მოგონება აყალიბებს სოციუმის აზროვნებას და სწორედ მათი საშუალებით ხდება ცოდნით შენახვა, აქტუალიზება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა. შესაბამისად, მეხსიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი და როლი

აქვს, ის ხშირად განსაზღვრავს დამოკიდებულებებს განსხვავებული მოვლენების მიმართ.

კულტურული მეხსიერების კონფლიქტებთან მიმართებით განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ როგორ ახდენენ დაპირისპირებების გაღვივებას თუ დარეგულირებას მეხსიერებაში არსებული კონკრეტული ნარატივები; ისტორიული, თუ ტრადიციული საფუძვლებით ფორმირებული რწმენა-წარმოდგენები. ამიტომაც მნიშვნელოვანია მოხდეს ურთიერთშედარება გარკვეული მეხსიერების მაგალითებისა ქართული და აფხაზური ცნობიერების საფუძველზე. ეს კი უფრო მკაფიოს ხდის ამჟამინდელი გაუცხოების მიზეზებს.

აფხაზეთის კონფლიქტის კულტურული მეხსიერება: მისი სპეციფიკა და დამახასიათებელი ნიშნები

მეხსიერების საკითხის განხილვისას გამოიკვეთა, რომ ხალხში ფორმირებული და უკვე არსებული წარსულის რწმენა-წარმოდგენები უმეტესწილად თანამედროვე გარემოს საფუძველზე ყალიბდება. ეს ყოველივე კი იმას გულისხმობს, რომ ისტორია განსაზღვრავს მომავალს, მაგრამ არსებული რეალობა იმთავითვე მოქმედებს თავად მეხსიერების და ცნობიერების ფორმირებაზე. ამიტომაც აფხაზეთში არსებული კონფლიქტის განხილვა დღეისათვის დაკავშირებულია, როგორც წმინდა ისტორიულ ფაქტებზე, ასევე იმ რწმენებზე რომელთა ჩამოყალიბებაც მოხდა უშუალოდ შემდგომ პერიოდში.

კულტურული და ისტორიული მეხსიერების სპეციფიურ ნაწილს წარმოადგენს კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მცხოვრებ ხალხზე არსებული ცნობები. ქართული წყაროების საფუძველზე ძირითადად ცხადდება ის, რომ მთელი ტერიტორია, უშუალოდ მდინარე ჭოროხიდან ქალაქ გაგრამდე, გახლდათ სვანების უძველესი განსახლების არეალი. სწორედ ისინი იყვნენ პირველი

ქართველური ტომები, რომლებიც დასახლდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ამას განსხავებულად უყურებდნენ და ამჟამადაც სხვანაირად აღიქვამენ აფხაზები, რომლებიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მაცხოვრებელ ხალხს უწოდებდნენ აფხაზების უშუალო წინაპრებს. აქვე განიხილება უშუალოდ აფშილებისა და აბაზგების ამ ტერიროტიაზე დასახლების თეორიაც. ქართული ცნობების მიხედვით აფსუები ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მოსახლეობა იყო (მ. ლორთქიფანიძე, 1990). ამას კი უპირისპირდებიან აფხაზი ავტორები, რომლებიც ხაზს უსვამენ ადგილობრივი ტომების ნომერკლატურას და ამ თვალსაზრისით აფხაზეთის წინაპრები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ ხანგრძლივი დროიდან სახლობდნენ (Анчабадзе З., 1956, გვ.261-278).

დაპირისპირება ასევე უკავშირდება უშუალოდ რელიგიასთან დაკავშირებულ მეხსიერებასაც. როგორც ცნობილია საქართველოში ქრისტიანობა შემოვიდა მე-4 საუკუნეში, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში ერთდროულად. აღმოსავლეთ ნაწილში ქრისტიანობა იქადაგა წმინდა ნინომ, ხოლო დასავლეთში კი ბიზანტიიდან შემოვიდა და ერთ-ერთ მთავარ ცენტრად ბიჭვინთა გამოცხადდა. ამ ნაწილში აფხაზი მეცნიერები საუბრობენ უშუალოდ იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოზე ქრისტიანული ქადაგების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი სწორედ აქ იყო და ამიტომაც აფხაზეთი მართლმადიდებლობის ცენტრად მიაჩნდათ დასავლეთ საქართველოსთვის.

ისტორიული ფაქტების განსხვავებულად აღქმის პარალელურად აფხაზეთში იყო პრობლემა მათი ენის, კულტურის და იდენტობის შენარჩუნებისა. ამიტომაც ისინი მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებდნენ ამაზე და დღეისათვისაც მაქსიმალური აქცენტების დასმა სწორედ ამაზე ხდება. ამის გამოხატულებაა 24 ივლისს აფხაზეთის დროშის დღის გრანდიოზული აღნიშვნები, რომლის ფარ-

გლებშიც ხდება აფხაზეთის ისტორიული დროშების დემონსტრირება. დროშა ამ შემთხვევაში როგორც იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მდგენელია. ენის მიმართულებით კი ხორციელდება არაერთი პროექტი, რომელიც მიმართულია აფხაზური ენის პოპულარიზაციისკენ. დღეისათვის ე.წ. სახელმწიფო ენას წარმოადგენს აფხაზური, თუმცა საგანმანათლებლო პროცესის რუსულ ენაზე წარმართვის გამო ახალგაზრდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ფლობს მშობლიურ ენას. აქედან გამომდინარე, ენის, კულტურისა და იდენტობის შენარჩუნება აფხაზებისთვის უმთავრესი ამოცანები გახლავთ და ამაში ისინი მაქსიმალურად იყენებენ ისტორიულ ცნობებსა და ფაქტებს, რათა არ მოხდეს სწორედ ამ იდენტობის ჩამოშლა.

იდეოლოგიური და ცნოებიერების დონეზე ბრძოლა აფხაზებსა და ქართველებს შორის ხდება კულტურულ უპირატესობებზე დავის სახით, ამ დროს განიხილებოდა ზოგადად ქრისტიანობის პირველად მიღება, კონკრეტულ ინდუსტრიებში ჩართვის პირველი მაგალითები (ხდებოდა ტყვარჩელი და ჭიათურა-ტყიბულის შედარება), წერილობითი მონაცემებისა და, ზოგადად, წერილების შექმნის პრეცენდენტებზე დავა, ასევე პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეების ისტორიული დროიდან დღემდე შედარება და დატოლება; გარდა ამისა ხდებოდა უშუალოდ სახელმწიფო პრიორიტეტებზე დავა, რის ფარგლებშიც განიხილებოდა დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს შექმნის საწყისები და ვინ იყო რეალურად ის, ვინც შექმნა დასავლეთ საქართველოს სამეფო; ასევე დავა მიმდინარეობდა ტერიტორიულ პრიორიტეტებზე, რაც დღეისათვისაც უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ქართველებსა და აფხაზებს შორის, პაექრობა ძირითადად მოიცავს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები პირველი ხალხების შესახებ დავას. ამ საკითხებზე დავამ მკაფიო ხასიათი მიიღო 1980-იან წლებში. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის კონფლიქტი წარმოადგენს ურთიერთდაპირისპირებას წარსულის, ისტორიული ცნობებისა და ფაქტების ჭეშ-

მარიტების დადგენის საფუძველზე. თითოეული მხარის ისტორიული ინტერპრატაციები მკვეთრად შეურაცხყოფდა მეორე მხარის ინტერესებს, რამაც გაამწვავა კონფლიქტი.

ასევე ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც დავა მიმდინარეობდა, იყო უშუალოდ ენობრივი და კულტურული ასპექტები, რაც გარკვეული პერიოდისათვის აფხაზებს პრივილეგირებული ჰქონდათ, ვინაიდან აფხაზური ენა საბჭოთა კავშირის მიერ ოფიციალურად აღქმული იყო აფხაზეთის ასსრ-ის მთავარ ენად, ქართულთან ერთად. გარდა ამისა აფხაზეთის ასსრ-ის ადგილობრივ უმაღლეს საბჭოში, რომელიც საკანონმდებლო საქმიანობას ახორციელებდა, ძირითადი მანდატები ეთნიკურად აფხაზებს ჰქონდათ და უმაღლესი პოზიციებიც მათ ეკავათ. შესაბამისად, აფხაზების მიერ წამოყენებული არგუმენტს იმის შესახებ, რომ ისინი სახელისუფლებო დონეზე ქართველების მხრიდან იყვნენ დაჩაგრულები, უპირისპირდება სწორედ ეს კონტრარგუმენტი ქართული მხრიდან.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ წარსულისა და ისტორიის არაერთგვაროვნებაა. თითოეულ მხარე განსხვავებული კულტურული მეხსიერების ფარგლებში მოქმედებდა და შესაბამისად ცნობიერება და კონკრეტული საკითხების აღქმა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჰქონდათ. წარსულისა და წინაპრების მნიშვნელობაზე ხაზგასმა ძირითადად ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სკოლების მეშვეობით, ისინი უმთავრესი ბერკეტებია კოლექტიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. სწორედ, სკოლაში მიწოდებული ისტორიის სახელმძღვანელოები ქმნიან მოზარდების ცნობიერებას. ამ მიმართულებით კი ქართული და აფხაზური მხარესთვის სრულიად განსხვავებული გზებითა და მეთოდებით ხდება ისტორიული ცნობების მიწოდება. ეს ფაქტორები, რაც აყალიბებს ცნობიერებას, ქართველებსა და აფხაზებს განსხვავებულად მიეწოდებათ.

აფხაზეთის კონფლიქტის კვლევის ნაწილში წარსულის აღქმაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ პირად გამოცდილებას, რომლის ფარგლებშიც ეს ყოველივე უშუალოდ საკუთარი თვალით აქვთ ადამიანებს აღქმული და ნანახი. სამწუხაროდ, დღეისათვის იმ თაობის რაოდენობა, რომელმაც ეს ომი თავისი თვალით იხილა შემცირდა, როგორც ენგურს იქით, ასევე ენგურს აქეთ. შესაბამისად ახალი თაობა ძირითადად ცნობებსა თუ ინფორმაციას სწორედ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან იღებს. აფხაზეთში ისტორიის სახელმძღვანელოებში ყველაფრის იმგვარად ინტერპრეტაცია მოხდა, რომ ეთნიკურ ნარატივებზე ყურადღების გამახვილება სულ უფრო მეტად ხდება. მთავარი მიზანი თითოეული სახელმძღვანელოსი არის ის, რომ საქართველოსგან დამოუკიდებელ სუბიექტად წარმოაჩინოს აფხაზეთი და მისი ამჟამინდელი დამოუკიდებლობის საფუძველი უძველესი დროიდან წარმოუჩინოს ახალ თაობას. გარდა ამისა, აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში განსსხვავებით ქართლებისაგან არ არის საუბარი იმაზე, რომ იყო დიდგორის ბრძლა, ბასიანი და სხვა. ვინაიდან ეს ბრძოლები უფრო მეტად ასოცირდება ქართველებთან და არა აფხაზებთან (კახიშვილი ნ., 2022).

დასკვნა

ქართულ-აფხაზური კულტურული მეხსიერების კვლევა კომპლექსურ და მრავლისმომცველ პროცესს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათვალისწინება იმისა, რომ ორივე მხარეს ერთიანი ისტორია და ტრადიციები გააჩნდა 1980-იან წლებამდე. არსებული გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, წარსული და იმჟამინდელი აწმყო ერთიანი იყო. შესაბამისად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომლებიც უშუალოდ მომსწრეები არიან აღნიშნული კონფლიქტისა, საუბრობენ იმაზე, რომ კონფლიქტამდე რაიმე ტიპის განსაკუთრებული ურთიერთდაპირისპირება მათ შორის არ არსებობდა.

შესაბამისად ერთიანი კულტურული მეხსიერების მქონე მოსახლეობაში, რომელიც ერთიან ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს იზიარებდა, გარკვეული ჩარევის გზებით მოხდა სწორედ ამ ერთიანი მდგენელების ჩამოშლა. აფხაზეთში სრულიად ახალი ცნობიერებისა და აზროვნების ფორმირების ხელშეწყობა ხდებოდა, ამაში ჩართული იყო რუსეთის მიერ მართული სეპარატისტული ძალები, რომლებიც ეთნოცენტრიზმს უღვივებდნენ აფხაზებს. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ქართველების, როგორც ოკუპანტებისა და მტრების ხატი. ძველი ისტორიის გამოყენებით აფხაზურ მოსახლეობაში შეიქმნა განცდა იმისა, რომ ქართველები მათ სრულად ართმევდნენ ინდენტობას.

ამიტომაც უნდა ითქვას, რომ კონფლიქტების ფორმირებასა და განვითარებაში სწორ კულტურულ მეხსიერებას გადამწყვეტი როლი უჭირავს. თუ იქნა არასწორად ჩამოყალიბებული ისტორია, შესაბამისად დამახინჯდება ტრადიციებიც, ეს კი ეჭვის ქვეშ დააყენებს ცნობიერებისა და აღქმის სწორხაზოვნებას. თავის მხრივ გადაგვარებული ისტორიული ცნობები, ადამიანის ცნობიერება და აღქმა ქმნის არასწორ კოლექტიურ მეხსიერებას, რასაც საბოლოოდ კონფლიქტის გაღვივებამდე მივყავართ. დღეისათვის კი ამ კოლექტიური მეხსიერების ფორმირება ხდება ენგურს იქით და ენგურს აქეთ სრულიად განსხვავებულად. ქართულ მხარეს სწამს საკუთარი სისწორისა, ისევე, როგორც აფხაზურს. ამიტომ დღესაც დიალოგის წარმოებისას კონფლიქტის მცირე კერები არსებობს. ისტორიული ფაქტების შედარებით და დავით კვლავ ხდება სწორედ იმ დაპირისპირებაში შესვლა, რომელიც 1990-იან წლებში იყო.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მერაბ მამარდაშვილის სიტყვები ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციის შესახებ სრული სიმართლეა: „როგორც საბჭოთა ადამიანთა მთელი ერთობლიობა, ჩვენც იმდენ ხანს ვთვლემდით, ისე გავიყინეთ, რომ დღეს ხელახლა უნდა ვისწავლოთ სიცოცხლის გარჩევა სიკვდილი-

საგან, ოცნებისა – რეალობისაგან. ქართველებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, განდევნონ უვიცობა და ისტორიული წყვდიადი მათ ზნეში, საქმიანობაში, ცოდნაში რომ დაგროვდა. საბჭოურად დაპატარავებულებმა, ენერგია დაშრეტილებმა დავკარგეთ პოლიტიკის შეგრძნების უნარი, აღარ ვიცით, როგორ ვიცხოვროთ რთულ საზოგადოებაში“ (მამარდაშვილი მ., 2011). თუმცა ამგვარ რთულ ვითარებაშიც კი სწორედ წარსული მეხსიერება ასულდგმულებს როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ მოსახლეობას. მიუხედავად არსებული ურთიერთდაპირისპირებისა, არსებობს გარკვეული საკითხები, რომელთა შესახებაც მაინც ხდება შეთანხმება და ეს არის მშვიდობიანი თანაცხოვრება, რისი გამოცდილებაც აქამდეც იყო და სამომავლოდაც ამის იმედი აქვს ორივე მხარეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კახიაშვილი ნინო, „როგორია ქართველი აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოში?“, (2022). https://netgazeti.ge/south_caucasus/591308/
- ლორთქიფანიძე მარიამი - აფხაზები და აფხაზეთი; გამომცემლობა «განათლება». თბილისი, 1990 https://www.allgeo.org/index.php/ka/750-2019-03-31-00-15-45
- მამარდაშვილი მერაბ, „აზროვნებისა და ენის განსაბჭოება“, (2011), ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, გვ. 189 http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20-%20%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
- Анчабадзе З.В. Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороквы «Георгий Мерчуле — грузинский писатель X века» // Тр. Абхаз, ин-та яз., лит. и истории. 1956. Т. 27. С. 261—278
- Ассман Ян, 1992, - Культурная память: Письмо, память о прошлом и политическая идентичность в высоких культурах древности, Москва: ЯЗЫКИ СЛАВЯНСКОЙ КУЛЬТУРЫ (2014), გვ. 32. http://www.philol.msu.ru/~discours/images/stories/speckurs/assman.pdf
- Scheler Max, The forms of Knowledge and Society, By Manfred S. Frings, Britanicca (1924), https://www.britannica.com/biography/Max-Scheler#ref937583

Nino Bigvava

Conflict in Abkhazia: Past and Present

Abstract

One of the most important problems for Georgia today is occupation and restoration of territorial integrity. After the collapse of the Soviet Socialist Union, the national liberation struggle was accompanied by the incitement of separatism by the Russian forces in the regions of Abkhazia and Samachablo. Consequently, this led to an armed confrontation that turned into a frozen conflict. During the last 30 years, it is becoming quite difficult to find common points of intersection, since in the occupied territories different consciousness and perception of past and present events are strongly formed. In the territory of Abkhazia, the image of the enemy and the hostile attitude towards Georgia and Georgians are actively formed among the young generation, which is sharply different from the Georgian consciousness and qualifies the Abkhazian as his brother and friend. Considering this factor, the study of cultural and historical memory in the context of Abkhazia is particularly interesting.